ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

წინასწარი ანგარიში

5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021

INTERNEWS GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

5 ივლისი - 25 სექტემბრის პერიოდში რადიოარხების საინფორმაციო გადაცემების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოავლინა: 4

დიაგრამები 7

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2021 **წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“-** ფარგლებში, რადიომაუწყებლების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდებოდა. მონიტორინგი 2021 წლის 5 ივლისს დაიწყო.

დაკვირვება 12 რადიომაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებზე უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ, რადგან რადიო „ვეის“ (ახმეტის რაიონი, პანკისის ხეობა, სოფ. დუისი) საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებები არ მოუმზადებია, მონიტორინგი 11 რადიოარხის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს შეეხო. ეს რადიოებია: „საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ფორტუნა“, „ჰერეთი“, „მარნეული“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად სამართლიანად, თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან:

მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

დაკვირვება ხორციელდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებზე, არამედ ყველა სიუჟეტზე, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე არის საუბარი.

ანგარიშში მოცმულია რადიოს საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის ძირითადი შედეგები. თითოეული შერჩეული რადიომაუწყებლის დეტალური შეფასება წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში.

5 ივლისი - 25 სექტემბრის პერიოდში რადიოარხების საინფორმაციო გადაცემების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოავლინა:

- 2021 წლის მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებლების უმეტესობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მკვეთრად მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა. თუმცა, 2020 და განსაკუთრებით წინა წლებთან შედარებით ახალ ამბებში გაიზარდა დაუბალანსებელი სიუჟეტების რიცხვი, სადაც ან უმეტესად ხელისუფლების პოზიციები შუქდებოდა ან - ოპოზიციის. მაგალითად, რადიო „იმედი“ ხელისფლებას, ძირითადად, დადებით კონტექსტში აშუქებდა და მმართველი გუნდის კრიტიკას დროს თითქმის არ უთმობდა. ამ კუთხით „იმედი“ ყველა სხვა მაუწყებლისგან გამოირჩეოდა, რაც მის მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. მოვლენების კრიტიკული გაშუქებით „ჰერეთი“, „პირველი რადიო“, „მაესტრო“ და „პალიტრა“ გამოირჩეოდნენ, თუმცა ახალ ამბებში ბალანსი ყველაზე მეტად „მაესტროსა“ და „პალიტრაზე“ იყო დაცული;

- „საქართველოს რადიოს“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) მუშაობის ხარისხი წინა წლებთან შედარებით არ გაუმჯობესებულა - მოვლენები კვლავაც მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა, არ გვხვდებოდა ანალიზი, კრიტიკა და სიღრმისეული სიუჟეტები; სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 100% ირიბ საუბარზე მოდიოდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტი სხვა რადიომაუწყებლებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ის საკუთარ მსმენელს მაღალი ხარისხის ჟურნალისტურ პროდუქტს კვლავაც ვერ სთავაზობდა. მხოლოდ, კრიტიკული, მრავალფეროვანი და ანალიტიკური ახალი ამბების მომზადებით იქნება შესაძლებელი, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მის მიმართ არსებული მაღალი მოლოდინები და დაკისრებული პასუხისმგებლობა გაამართლოს;

- წინა წლებთან შედარებით, რადიოების უმრავლესობაში მოიმატა ისეთი ახალი ამბების გაშუქებამ, რომლებიც მთლიანად ხელისუფლება - ოპოზიციის დაპირისპირებებზე იყო აგებული და ნაკლებად ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ პოლიტიკოსების

დაპირისპირების მიღმაც მოეძებნათ და გაეშუქებინათ მოსახლეობისთვის აქტუალური თემები და ამით საინფორმაციო გამოშვებები უფრო მრავალფეროვანი გაეხადათ;

- როგორც წინა წლებში, ახლაც სხვადასხვა რადიოარხის საინფორმაციო გამოშვებების ახალი ამბების ტექსტები ერთმანეთს ჰგავდა - ეთერში ერთი და იგივე თემები ტრიალებდა და ნაკლებად ისმოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა რადიოს ეთერში არ ხვდებოდა. რადიოარხები მსმენელისთვის უფრო მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის შეთავაზებას ვერ ახერხებდნენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას შეინიშნებოდა;

- რადიომაუწყებლების პრობლემად კვლავაც რჩება ექსკლუზიური, სიღრმისეული და ანალიტიკური სიუჟეტების სიმწირე, რაც ტყუილ-მართალის გარჩევას ართულებდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსების პრესკონფერენციებზე გაკეთებული განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ. შესაბამისად, გადაცემებში თემების აქტუალურობას კვლავაც პოლიტიკოსთა განცხადებები განსაზღვრავდა და არა ჟურნალისტების მიერ მოძიებული ინფორმაციები. ისინი პოლიტიკოსების დაწესებულ დღის წესრიგზე კრიტიკის გარეშე რეაგირებდნენ და საკითხისთვის ფოკუსის შეცვლას, განსხვავებული პერსპექტივის წარმოჩენასა თუ ახალი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას არ ცდილობდნენ;

- რადიოარხებზე ანონიმურ და საეჭვო წყაროზე დაყრდნობით ახალ ამბები არ მომზადებულა, თუმცა პოლიტიკოსთა განცხადებები გადამოწმების გარეშე შუქდებოდა. ექსპერტულ შეფასებებს, კვლევებსა თუ სხვა სახის მონაცემებს დრო თითქმის არ ეთმობოდა - პოლიტიკოსები აკეთებდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს, თუმცა ჟურნალისტები ვერ ახერხებდნენ, რომ მსმენელს სიმართლის დადგენაში დახმარებოდნენ;

- გასული წლების მონიტორინგის შედეგები მიუთითებდა, რომ ჟურნალისტებს წინასაარჩევნო პროგრამები და კანდიდატთა ხედვები მსმენელამდე სათანადოდ კრიტიკულად და სიღრმისეულად ვერ მიჰქონდათ. 2021 წელს ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან წინასაარჩევნო გარემოს გაშუქება კანდიდატთა ხედვების გაშუქებას მთლიანად მოწყდა და პროგრამების შინაარსობრივი თუ შედარებითი განხილვა საერთოდ არ ყოფილა. მცირე დროით, მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა კანდიდატთა მოსახლეობასთან შეხვედრები და ისიც, ძირითადად, მხოლოდ თბილისში. წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების შაბლონი შემდეგნაირია: კანდიდატი ხვდება ამა თუ იმ უბნის მოსახლეობას, ისმენს მათ პრობლემებს და მათ მოგვარებას ჰპირდება, ხოლო ჟურნალისტი დამატებით კითხვებს არ სვამს და უცნობი რჩება კანდიდატები როგორ, რა გზით, რა რესურსებით აპირებენ დანაპირების შესრულებას;

- საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი აქცენტი კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სიახლეებსა და პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებაზე კეთდებოდა, რის ფონზეც სოციალური პრობლემები თუ თბილისს გარეთ არსებული გამოწვევები ყურადღების მიღმა დარჩა. რადიომაუწყებლების უმეტესობა კვლავაც მცირე დროს უთმობდა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, სოციალური საკითხების გაშუქებას და ამ საკითხებზე მსმენელისთვის პოლიტიკოსთა მოსაზრებების გაცნობას;

- რეგიონული რადიომაუწყებლები („ათინათი“, „მარნეული“, „ძველი ქალაქი“, „სამხრეთის

კარიბჭე“) რეგიონში მიმდინარე მოვლენების მაღალი სტანდარტებით გაშუქებას კვლავაც ვერ ახერხებდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი თბილისში განვითარებულ მოვლენებზე კეთდებოდა. ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქების დროს ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ და პოლიტიკოსთა აქტივობებსა თუ განცხადებებს ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების გარეშე გადმოსცემდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება იყო. რეგიონული რადიოების უმრავლესობაზე მათი აქტივობები და პროექტები მწვავე კითხვების ნაკლებობის, ზედაპირული გაშუქების გამო, ძირითადად ნეიტრალურად და დადებითად წარმოჩინდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში აქვს. მათი პასიურობა განსაკუთრებული პრობლემაა იმ ფონზეც, როდესაც რეგიონში მიმდინარე მოვლენები არც ცენტრალური რადიოარხების ფოკუსში ექცევა. რეგიონულ რადიომაუწყებლებს აქვთ შესაძლებლობა, რომ თბილისს გარეთ განვითარებული მოვლენების გაშუქების კუთხით არსებული სიცარიელე შეავსონ, იყვნენ პირველები, ექსკლუზიურები და ამით საკუთარი რეგიონის, ქალაქისა თუ რაიონის პრობლემები წინა პლანზე წამოწიონ;

- რადიოებში შენარჩუნდა 2020 წელს გამოკვეთილი ტენდენცია, როდესაც ახალი ამბების უმეტეს ნაწილს პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებების ჟურნალისტების მიერ ციტირება შეადგენდა. პოლიტიკოსთა ნათქვამის უკეთ აღქმისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მეტი დრო დაეთმოს მათ პირდაპირ საუბარს და მსმენელმა პოლიტიკოსების განცხადებები და მოსაზრებები უშუალოდ მათგან მოისმინოს. სუბიექტების, უმეტესად, ირიბად გაშუქება გარკვეულწილად იმაზეც მიუთითებს, რომ ჟურნალსიტები საკითხებზე თავად ნაკლებად მუშაობენ და ხშირად მხოლოდ ოპოზიციური პარტიებისა თუ ხელისუფლების ოფიციალურად გავრცელებულ განცხადებებს, ან საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებს აჟღერებენ;

- რადიოარხებზე ნარჩუნდება დადებითი ტენდენცია, რომელიც პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვას ეხება. ჟურნალისტები სიძულვილის ენას არ იყენებენ, ეთერში არ ისმის სექსისტური, ჰომოფობიური, რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები და არც ხმით / მუსიკით მანიპულირების შემთხვევები ფიქსირდება. ეს ყველაფერი პოლიტიკური პროცესების და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები იმდენად მწვავეა, რომ რადიომაუწყებლების მუშაობა მაღალი ხარისხის სტანდარტებს კვლავაც ვერ აკმაყოფილებს. დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და პოლარიზაციის ფონზე, ის პრობლემები, რომლებიც 2020 წლის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, ამჯერად კიდევ უფრო გამწვავდა - ახალი ამბების ხარისხი, უმეტესწილად, გაუარესებულია, ხოლო ახალი ამბების ზედაპირულად გაშუქება მოსახლეობის ინფორმირებულ არჩევანს ხელს ნაკლებად უწყობს.

დიაგრამები


სუბიექტების გაშუქება (%)
"საქართველოს რადიო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30
23
11
6
6
4
3
17
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ლელო
საქართველოსთვის
ევროპული საქართველო
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
"საქართველოს რადიო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 1:24:01
14
76
10
ქართული ოცნება 1:05:11
4
65
31
ნაციონალური მოძრაობა 0:29:17
82
16
ლელო 0:16:534
94
საქართველოსთვის 0:15:17
12
80
ევროპული საქართველო 0:11:52
91
ადგილობრივი მთავრობა 0:08:47
76

სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "პალიტრა"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "პალიტრა"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021




სუბიექტების გაშუქება (%)
"პირველი რადიო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
29
26
15
5
4
3
3
15
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ლელო
ევროპული საქართველო
დროა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
"პირველი რადიო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 2:21:00
5
54
41
მთავრობა 2:06:51
9
71
20
ნაციონალური მოძრაობა 1:15:37
7
66
27
საქართველოსთვის 0:26:04
78
13
ლელო 0:18:16
88
ევროპული საქართველო 0:15:22
73
დროა 0:12:38
86

სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "ფორტუნა"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "ფორტუნა"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "მაესტრო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "მაესტრო"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო"იმედი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "იმედი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება(%)
რადიო "ჰერეთი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "ჰერეთი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "მარნეული"
1 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "მარნეული"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "სამხრეთის კარიბჭე"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "სამხრეთის კარიბჭე"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "ათინათი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "ათინათი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021




სუბიექტების გაშუქება (%)
რადიო "ძველი ქალაქი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
34
20
11
10
7
5
3
10
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
საქართველოსთვის
ევროპული საქართველო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რადიო "ძველი ქალაქი"
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 0:42:33
9
80
11
ქართული ოცნება 0:24:53
48
50
ადგილობრივი მთავრობა...
18
57
25
ნაციონალური მოძრაობა...
90
10
ლეიბორისტული პარტია...
15
85
საქართველოსთვის 0:06:39
88
ევროპული საქართველო...
96